



სამუშაო შეხვედრა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების

წარმომადგენლებთან

2015 წლის 2 მაისი

სესია

კულტურული მემკვიდრეობა

მოდერატორი :

შორენა ციცაგი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურის პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომელი

მონაწილეები :

ნატო კორსანტია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი

რევაზ ხვისტანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ვალენტინა გვაძაბია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე

გიორგი პატაშური, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე

ქეთევან დავითაია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ირაკლი გელენავა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსი

ნინო ბერიძე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ელისო ხაბეიშვილი, აფხაზეთის ა/რ ვ. ვეკუას სახელობის N.3 საჯარო სკოლა

ნაირა ქარდავა, აფხაზეთის ა/რ ვ. ვეკუას სახელობის აფხაზეთის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

თეონა მებონია, ვ. ვეკუას სახ. აფხაზეთის N.3 საჯარო სკოლის პედაგოგი

სვეტლანა რურუა, ვ. ვეკუას სახ. აფხაზეთის N.3 საჯარო სკოლის პედაგოგი

მაია გელანტია, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის კომისიის თანამშრომელი
ნოდარ უუუნიაშვილი, სამხ. ოსეთის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან
ურთიერთობის განყოფილების უფროსი
როინ ელბაქიძე, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის დევნილებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის
მოადგილე
ნუგზარ ფსუტური, ახალგორის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ
საქმეთა სამსახურის უფროსი
მერაბ გაგლოევი, მოქანდაკე
თამარ ჯოხაძე, ქუთაისის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა ჯანმრთელობისა და
სოციალურ საქმეთა სამსახურის უფროსი
თამარ შუკაკიძე, ივ. მაჩაბლის მუზეუმის დირექტორი
ინგა ქარაია, ICOM -ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი

დისკუსია, რომელიც ორ საათს მიმდინარეობდა, შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე
არსებულ კულტურული მემკვიდრეობის უძრავ და მოძრავ ძეგლებს, მათი დაცვისა და რისკების მართვის
საკითხებს, ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებს. სფეროში არსებული
პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ, ხაზი გაესვა ქმედითი ნაბიჯების გადადგმისა და საერთაშორისო
საზოგადოების მეტი ინფორმირებულობის მნიშვნელობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ჰააგის
კონვენციის დებულებების ამოქმედებისათვის. ასევე, ხაზი გაესვა ოკუპირებულ ზონებში ძეგლების
მდგომარეობის შესწავლისა და მათი აღრიცხვის საჭიროებასა და მნიშვნელობას.

დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები :

კანონმდებლობა:

- კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ერთმანეთისაგან უფლებრივად ასხვავებს
აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს
- საკანონმდებლო სივრცეში აფხაზური ენა არ არის დაფიქსირებული და დაცული, როგორც
მეორე სახელმწიფო ენა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

განათლება:

- ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მწირია ინფორმაცია აფხაზეთსა და ცხინვალის
ტერიტორიებზე არსებული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ

- სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში არ არსებობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განყოფილება შესაბამისი კვალიფიციური კადრებით; შტატების სიმცირის გამო დევნილთა სკოლებს არ ყავთ ბიბლიოთეკარები
- არასაკმარისია ოკუპირებული ზონების კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევების ხელშეწყობა და მათი პოპულარიზაცია საზღვარგარეთ

ინფრასტრუქტურა:

- წეროვანში მდებარე ს. მაჩაბლის მუზეუმს არ აქვს შენობა

კომუნიკაცია:

- რთულია ინფორმაციის მიღება ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ძეგლების მდგომარეობის შესახებ
- არ არსებობს ერთიანი სამოქმედო გეგმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, რომელიც გათვლილი იქნება გრძელვადიან პერსპექტივაზე და უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემაზე მომუშავე პირებს გააერთიანებს
- არ არის დანერგილი ინოვაციური მიდგომები პრობლემის მოგვარების საკითხებთან დაკავშირებით
- არასაკმარისია კომუნიკაცია და კოორდინაცია სამთავრობო, არასამთავრობო სტრუქტურებსა და კულტურულ მემკვიდრეობის თემატიკაზე მომუშავე პირებს შორის

ფინანსური პრობლემები

- ფინანსური პრობლემების გამო იკარგება ტრადიციული რენვის ტრადიციები (ცხავატის (ახალგორის რაიონი) თიხის სამეფო ჭურჭლის მაგალითზე)